

6. საქართველოს პარლამენტის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ევროპარლამენტს, მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტებს, რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოს, 1993 წლის 17 მარტი

საქართველოს პარლამენტის მიმართვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ევროპარლამენტს, მსოფლიოს ქვეყნების პარლამენტებს, რუსეთის ფედერაციის უზენაეს საბჭოს

უკანასკნელი დღეების მოვლენები ადასტურებს, რომ რუსეთი აფართოებს გამოუცხადებელი ომის მასშტაბებს საქართველოს წინააღმდეგ. რუსეთის სამხედროთვითმფრინავებიდან და საზღვაო ხომალდებიდან იბომბება ქ. სოხუმი და მისი შემოგარენი, რის გამოც მკვეთრად იზრდება მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.

1993 წლის 16 მარტს დაიწყო სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების მასირებული შეტევა ქ. სოხუმზე. ამ ოპერაციის ხასიათი და მასშტაბი აშკარად მოწმობს, რომ აფხაზეთის რეპრესიებს ამოფარებული რუსეთის შეიარაღებული ძალები ხსენებულ ოპერაციაში ასრულებენ გადაწყვეტ როლს, რაც ააშკარავებს რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკას საქართველოს რესპუბლიკის მიმართ.

აღნიშნული პოზიცია, აშკარად აგრესიული, იმთავითვე ნათელი იყო საქართველოს ხელისუფლებისათვის, რომელიც საქართველოს რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის კეთილმეზობლური ურთიერთობის ინტერესებიდან გამომდინარე, დღემდე თავს იკავებდა ოფიციალურად მიეცა რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკისათვის ადეკვატური კვალიფიკაცია, რათა ამით არ შეექმნა სირთულეები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მოწესრიგებისათვის.

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ დადგა დრო საგნებსა და მოვლენებს თავისი სახელი დაერქვას და აცხადებს, რომ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო მოქმედებების პოლიტიკური მიზანია საქართველოსაგან აფხაზეთის მოწყვეტა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. ეს კონფლიქტი კიდევ უფრო აქტუალურს ხდის საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანას.

საქართველოს პარლამენტი მიმართავს რუსეთის პარლამენტს, მის მთვრობას, რუსეთის დემოკრატიულ საზოგადოებრიობას გაითვალისწინონ ის სავალალო შედეგები, რაც შეიძლება მოჰყვეს სუვერენული სახელმწიფოს მიმართ რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას.

საქართველოს პარლამენტი მიმართავს მსოფლიო საზოგადოებრიობას რეაგირების გარეშე არ დატოვონ რუსეთის აგრესიული ქმედება საქართველოს მიმართ და არ დაუშვან საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა იმპერიალისტური ამბიციებით შეპყრობილ პოლიტიკურ ძალთაგან. დარწმუნებული ვართ, რომ მსოფლიო დემოკრატიული ძალები წინააღმდეგობას “ბოროტების იმპერიის” აღორძინებას და ამით უდიდეს საფრთხეს

ააცილებენ როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხებს, მათ შორის - თვით რუს ხალხს,
ასევე მთელსოფლიოსაც.

17 მარტი 1993 წელი

(საქართველოს პარლამენტის უწყებები, # 4-5, 1993, გვ.103-104)